



ევროკავშირი მხარს უჭერს ციფრულ ეკონომიკას და საზოგადოებას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში

შიდა ციფრული ბაზრის შევსება ევროკავშირის ფარგლებში ძირითადი პრიორიტეტია. მისი დაკავშირება მეზობელ ქვეყნებთან სასარგებლო იქნება ყველა მოქალაქისთვის მთელ რეგიონში. ევროკავშირი მხარს უჭერს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს როუმინგის ტარიფების შემცირებაში, კიბერ-უსაფრთხოების საშიშროებების კოორდინირებული გზით გადაჭრაში და იმ პოტენციალის გამოყენებაში, რომელსაც ერთიანი ციფრული ბაზარი სთავაზობს ბიზნესსა და მოქალაქეებს მეტი სამუშაო ადგილების შესაქმნელად რეგიონში.

მიღწევები რეგიონის მასშტაბით



გაუმჯობესებული მაღალსიჩქარიანი ციფრული კავშირები ექვს პარტნიორ ქვეყნას შორის ხელს უწყობს ციფრულ კვლევას და განათლებას.

700-ზე მეტ დაწესებულებაში ორ მილიონამდე ადგილობრივი მეცნიერის, სტუდენტის და აკადემიურ პერსონალის უზრუნველყოფა გლობალური კვლევების ხელმისაწვდომობით.

www.eapconnect.eu

მაგალითები ქვეყნების მიხედვით

ბელარუსი
ავტომატიზებული ვიდეო კონტროლის სისტემის და რენტგენის სკანერის დამონტაჟება ნოვოპოლსკ-ლოვი იარილოვიჩის საზღვრის გადაკვეთაზე, მონაცემთა მიმოცვლით დროის რეალურ რეჟიმში უკრაინასთან „ჰრინეჟისის“ ჩამოსვლისწინა ინფორმაციის გაცვლის საშუალებით.

უკრაინა
ელექტრონული მმართველობის გადაწყვეტილებების გამოყენება ადგილობრივი ხელისუფლებისთვის და ადმინისტრაციული სამსახურების ურთიერთშეთანხმებული საქმიანობის დაწესება. კიბერუსაფრთხოების მუქარისადმი მდგრადობის ზრდა, განსაკუთრებით არჩევნების წინ.

სომხეთი
(ელექტრონული)
ე-საგადასახადო დეკლარაციის, ე-სამოქალაქო რეესტრის, ე-საიდენტიფიკაციო ბარათების, ე-პოლიციის, ე-ნოტარიუსის, ე-პენიტენციური, ე-სამოქალაქო და ე-დოკუმენტების მართვის სისტემების დაწესება მთავრობისთვის, ე-ბიზნეს-რეესტრი, ე-აპოსტილირება, ე-იურიდიული აქტების პროექტები, ე-მოთხოვნა, სამთავრობო ურთიერთშეთანხმებული საქმიანობის პლატფორმა (GIP) საზღვრის გადაკვეთისთვის.

აზერბაიჯანი
ელექტრონული სამსახურების დაწესება მთავრობისთვის ორიენტირებით ელექტრონულ კომერციაზე.

მოლდოვის რესპუბლიკა
წერგავს ელექტრონული შესყიდვების ახალ საჯარო სისტემას (საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემის M-ტენდერი) ევროკავშირის საჯარო შესყიდვების მითითებების შესაბამისად და აზორცილებს ვიდეო კონტროლის სისტემას საზღვრის გადაკვეთის შერჩეულ პუნქტებზე. საზღვრის მდგრადი ერთობლივი დისფერი ზედამხედველობა. კიბერუსაფრთხოების მუქარისადმი მდგრადობის ზრდა, განსაკუთრებით არჩევნების წინ.

საქართველო
ახალი კანონი ელექტრონული ნდობის მომსახურების შესახებ, ნაბიჯები ახალი ეროვნული ფართოზოლოვანი ქსელის სტრატეგიის მიმართულებით ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, ჯანმრთელობის ელექტრონული დოკუმენტაციის გამოყენება.

სამომავლოდ

გაუმჯობესებული ციფრული გარემო



- როუმინგის ტარიფების შემცირება ექვს პარტნიორ ქვეყანას შორის → როუმინგის რეგიონული შეთანხმება 2020 წლამდე
- მეტი მხარდაჭერა ინოვაციებს და სტარტაპებს
- მეტი მხარდაჭერა საინფორმაციო ტექნოლოგიებს და კვლევას
- ციფრული უნარების განვითარება მცირე და საშუალო საწარმოებისა და ბიზნესისთვის

ელექტრონული სერვისების სწორი პოლიტიკის ჩარჩოთი უზრუნველყოფა



- მეტი უსაფრთხო ონლაინ მოწმობა მოქალაქეებისთვის ახალი ელექტრონული ხელმოწერებით
- მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის დანერგვა ეკონომიკის სწრაფი განვითარების და ელექტრონული სერვისების განვითარების მხარდასაჭერად ბიზნესისა და მოქალაქეებისთვის → ფართოზოლოვანი ქსელის სტრატეგიის დანერგვა აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვს ქვეყანაში
- კიბერუსაფრთხოება → აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების კიბერუსაფრთხოების მუქარისადმი მდგრადობის მხარდაჭერა

კერძო სექტორის ინვესტიციების მოზიდვა



- ციფრულ ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების რისკის შემცირება საგარეო ინვესტირების გეგმის ფარგლებში → პროექტების ახალი პორტფელი
- ციფრული ეკონომიკის გასაძლიერებლად მეტი სესხები საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან ფართოზოლოვანი ქსელის ინვესტირებისთვის სამეზობლოს ინვესტირების პლატფორმის საშუალებით და ევროკავშირის გრანტების მხარდაჭერით

ელექტრონული სერვისების განვითარება მოქალაქეებისა და ბიზნესისთვის



- ე-ვაჭრობა, ე-საბაჟო, ე-კომერცია, ე-ლოგისტიკა → პილოტირება
- ე-დემოკრატიის აპლიკაციები მთავრობებისთვის
- ე-ჯანმრთელობა

ძირითადი პროგრამები

- მიმდინარე **EaP Connect** პროგრამა (13 მილიონი ევრო), რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს მთელი რეგიონის კვლევით და საგანმანათლებლო საზოგადოებებს და მათ ევროპელ პარტნიორებს მაღალი სიმძლავრის ფართოზოლოვანი ინტერნეტის ქსელის საშუალებით
- ახალი **EU4Digital** პროგრამა (12 მილიონი ევრო) ორიენტირებული იქნება როუმინგის ჰარმონიზაციაზე, მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ინტერნეტის ხელშეწყობაზე ეკონომიკის გასაძლიერებლად და ელექტრონული მომსახურების გასაფართოებლად, ასევე მეტი სამუშაო ადგილის შექმნაზე ციფრულ ინდუსტრიაში.
- ევროკავშირის მომავალი პროგრამა **CYBER** (7 მილიონი ევრო) კიბერუსაფრთხოების გასაძლიერებლად პარტნიორ ქვეყნებში და ციფრული სერვისების გამოყენების მიმართ ნდობის ასამაღლებლად მოქალაქეთა და ბიზნესის სასარგებლოდ.